საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში

## 2024 წელი



30.05.2025
www.geostat.ge

30.05.2025

## საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში (2024 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წელს საწარმოთა 95.2 პროცენტს ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან. ამასთან, საწარმოთა 73.3 პროცენტი ინტერნეტთან კავშირის უზრუნველსაყოფად იყენებდა ფიქსირებული კავშირის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ოპტიკურ-ბოჭკოვანი (FTTH), საკაბელო ტექნოლოგიები, DSL კავშირი (ADSL, SDSL, VDSL) და ა.შ.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს იმ საწარმოთა პროცენტულ განაწილებას ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით, რომელთაც ინტერნეტზე ჰქონდათ წვდომა 2024 წელს:

**ინტერნეტთან კავშირის საშუალო სიჩქარე საწარმოებში, 2024**




2024 წელს საწარმოებში დასაქმებულთა 26.8 პროცენტი იყენებდა საწარმოს კუთვნილ პორტატულ კომპიუტერს ან სმარტფონს, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან კავშირს (მხოლოდ საწარმოს მიზნებისთვის), ხოლო იმ საწარმოთა პროცენტული წილი, რომლებიც იყენებდნენ ვებგვერდს ან ვებსაიტს, განისაზღვრა 13.9 პროცენტით.

სამიზნე საწარმოთა ვებგვერდებს ან ვებსაიტებს გააჩნდათ შემდეგი ტიპის შესაძლებლობები/საშუალებები:

**საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები/საშუალებები, 2024**




საწარმოები ძირითადად იყენებდნენ სოციალური მედიის ისეთ სახეებს, როგორიცაა სოციალური ქსელი (Facebook, Linkedin და ა.შ.) – 28.8 პროცენტი, ხოლო საწარმოთა 70.7 პროცენტი საერთოდ არ იყენებდა  სოციალური მედიის საშუალებებს.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საკონტაქტო პირები:**

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge